ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 86
(კონსოლიდირებული ტენდერი **CON240000559**)

ქ. თბილისი 18 მარტი, 2025

ერთი მხრივ - **ოზურგეთის მუნიციპალიტეტი** (ს/ნ: 237114635), წარმოდგენილი მერის, **ავთანდილ თალაკვაძის** სახით, და მეორე მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი“ (ს/ნ: 202177205), წარმოდგენილი **გაყიდვების მთავარი ოფიცრის მიხეილ ვაშაკიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ კონსოლიდირებული ტენდერის **CON240000559**, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 07 ოქტომრის N1436 განკარგულების „2025-2026 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის („2025-2026 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ი") საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.5 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.7 „შესყიდვის ობიექტი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.8.სატენდერო დოკუმენტაცია - კონსოლიდირებული ტენდერის (**CON240000559**) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.9. „სატენდერო კომისია“ - – „2025-2026 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 07 ოქტომრის N1436 განკარგულების საფუძველზე, შექმნილი სატენდერო კომისია

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (**CON240000559**) სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს.

2.2. შესყიდვის ობიექტია ავტომანქანის საბურავები თანმდევი მომსახურებით.

2.3. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი № ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **944,00 ლარი.**

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების/მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები, ხარისხი და გარანტია**

4.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან და შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში **2025 წლის 15 მარტიდან 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით** (აღნიშნული ვადა შესაძლებელია ხელშეკრულებით გაიზარდოს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით) (ან 30 კალენდარული დღის ვადაში, თუ ხელშეკრულების გასაფორმებლად მიმართვა განხორციელდა გამარჯვებულად გამოვლენიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ იხ. სატენდერო დოკუმენტაციის 1.4.2 პუნქტი). შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: oz.sheskidvebi@gmail.com; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი stateunit@tegetamotors.ge:

4.2. საბურავების მიწოდების, დემონტაჟი-მონტაჟის, ბალანსირების ადგილები განსაზღვრულია დანართი N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

- ცენტრალური ფილიალი - ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი #129
- პეპელას ფილიალი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #15
- ქუთაისის ფილიალი - ნიკეას მე–9 ჩიხი #2ა
- ბათუმის ფილიალი - გაგარინის ქუჩა #1
- თელავის ფილიალი - ქ.თელავი, სოფ. ვარდისუბანი
- რუხის ფილიალი - ზუგდიდი, სოფელი რუხი
- ახალციხის ფილიალი - მიხეილ თამარაშვილის N69
- ფოთის ფილიალი - ლარნაკას #2
- გორის ფილიალი - ქ. გორი, პუშკინის ქ #2

4.3. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას თბილისის, ქუთაისის, ბათუმის მასშტაბით, თუ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მისაწოდებელი საბურავების რაოდენობა ერთ ჯერზე მინიმუმ 100 ერთეულია.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

4.5. გარანტია გავრცელდება შესყიდვის ობიექტზე სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50000 კმ. გარბენზე.

4.6. მიმწოდებული იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის ან/და ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ან შეცვალოს ახალი შესყიდვის ობიექტით, - შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.7. შესყიდვის ობიექტის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წუნდებული შესყიდვის ობიექტის მიმწოდებლის სერვის ცენტრში მიტანისას.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. ქვეპუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (წარმომადგენლები), ხოლო მიმწოდებლის მხრიდან სახელმწიფო კორპორატიული გაყიდვების განყოფილების თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის აუცილებელია 5.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება ჩაბარების აქტი და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6 2. პუნქტის გათვალისწინებით, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.4. დაფინანსების წყარო: 2025 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.1.2. უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.1.3. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

7.1.4. შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები;

7.1.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

7.1.6. მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

7.1.7. შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

7.2.2. განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან სატენდერო დოკუმენტაციის 3.1.1. პუნქტით განსაზღვრულ ექსპერტიზას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

7.3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, ხელშეკრულების და დანართი N1-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.3.3. პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართი N დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

7.3.4.შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

7.3.5. ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;

7.3.6. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

7.3.7. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კონტროლის განხორციელებისას;

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
7.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია საბურავების მიწოდება არ განახორიელოს 2025 წლის 15 მარტამდე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის საქონლის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.5 % ოდენობით.
8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები

9.1. იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, - ეროვნულ ვალუტაში. რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს

ხელშეკრულების გაფორმებიდან მინიმუმ 2025 წლის 04 დეკემბრის ჩათვლით. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებები სრულად შესრულდება 2025 წლის 03 დეკემბრამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაუბრუნოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

9.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3.ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ის ოდენობით.

9.4.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია ან/და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.

9.5.მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

9.6. წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მცირდება მიმწიდობლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროპორციულად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2025 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

11. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო და მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

13. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი, შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად.

13.2. კონტროლის აქტში მითითებული უნდა იყოს აღმოჩენილი დეფექტი ან ნაკლი.

13.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო კავშირით შეატყობინოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს მისი აღმოფხვრა ან შეცვლა თავისი ხარჯით.

13.4. კონტროლის აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში - ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

13.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს

13.6. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (წარმომადგენლები).

14. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

14.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას შესაბამისი დასაბუთებით ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

14.2. ხელშეკრულების შესწყვეტის თაობაზე შემსყიდველის მომართვის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, უფლებამოსილია იმსჯელოს კონკრეტული ხელშეკრულების ან/და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის თაობაზე.

14.3. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულებისათვის წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. ხოლო თუ ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.5. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14.6. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. კონფიდენციალურობა

15.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.

15.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

16. სხვა პირობები

მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი;
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
მის.: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1

ტელ: 577477317
ს/კ: 237114635
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

მიმწოდებელი
შპს „თეგეტა მოტორსი"
მის.: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №129
ელ. მის: stateunit@tegetamotors.ge
ტელ: 226 44 44
ს/კ: 202177205
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

_____

ხელისმომწერი პირი
/ავთანდილ თალაკვაძე/

_____

გაყიდვების მთავარი ოფიცერი
/მიხეილ ვაშაკიძე/

Tegeta Motors LLC

Digitally signed by Tegeta Motors LLC
DN: cn=Tegeta Motors LLC, 2.5.4.97=NTRGE-202177205, o=[illegible], c=GE
Date: 2025.03.18 15:15:11 +04'00'

დანართი №1

ზომა	რაოდენობა	ბრენდი	მოდელი	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების თარიღი
R15 195/65	8	Petlas	PT311	118	944,00	მიმწოდებლის სერვის-ცენტრი	ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შესაბამისად